საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა 2019



01.07.2020
www.geostat.ge

01.07.2020

## წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა
(2019 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2019 წელს საქართველოში წყალმომარაგებით საქმიანობას ახორციელებდა 24 საწარმო, რომელთა მიერ შინამეურნეობებისთვის მიწოდებული წყლის მოცულობამ 223.4 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, რაც 0.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული იყო 2.52 მილიონი მოსახლე (67.7 %), რაც 2.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №1) 2015-2019 წლებში.

დიაგრამა №1

**წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა (%)**



2019 წელს წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 1.3 პროცენტით გაიზარდა და 1.83 მილიონი (49.4 %) შეადგინა, ხოლო ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 1.3 პროცენტით და 1.36 მილიონი (36.5 %) შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №2) და ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №3) 2015-2019 წლებში.

დიაგრამა №2

**წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობა**
**(%)**



დიაგრამა №3

**ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობა**

**(%)**




**საკონტაქტო პირები:**

გიორგი სანაძე, ტელ.: (+995 32) 2367210 (500)
E-mail: gsanadze@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 2367210 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge